

# ნიანში



ნახ. გ. ლომიძისა

## ყველას თავისი წამალი აქვს

ზოგან არასაკმაო ყურადღება ექცევა მოსავლის დანაკარგებთან ბრძოლას.

— ეგ ნემსი არა, გეთაყვა, ჩემს კრილობას, უბრალო, ძაფიანი ნემსი მოარჩენს!

Обязательный экземпляр

ინგლისის საქმიანი წრეები შემოთავაზებული არიან იმის გამო, რომ მარშალის გეგმით გათვალისწინებულ დახმარების ანგარიშში, ამერიკას ინგლისში შეაქვს უზარისხო და მოძველებული საქონელი, რის სამაგიეროდაც ძვირფასი მალაქი და ნედლეული გააქვს.

ნახა დონისა

ინგლისის დიპლომატურ წრეებში მრავალი ჯენტლმენი მოიპოვება, რომელიც ესთეტიკის სწავლობს. ასე წარმოიდგინეთ ზოგი მათგანი ოსკარ უალდსაც კითხულობს და მოხიბლულია მისი სიმბოლიკურ-ესთეტიკური რომანით — „დორიან გრეის პორტრეტი“.

გრეის პოზებით ვატაცებულ ჯენტლმენების წარმომადგენელი ვახლავთ ლეიბორისტი პროფესორი ხაკსლი, მაგრამ მას ამ საქმეში კიდევ უფრო სჭარბობს თავისი ოქსფორდელი კოლეგა ტეილორი. მათი პროფესია გარეგნულად მეცნიერების სამსახურია, მაგრამ ორივე მათგანი გვარაიან სამსახურს უწევს ჩერჩილის მიერ კურთხეულ რეაქციულ ორგანიზაციებს „ტვინის ტრესტებს“ და, მაშასადამე, პროვოკაციებისა და იმპერიალიზმის მეცნიერების დამსახურებული ოსტატებიც ბრძანდებიან. ისინი ფრაკის სალილეში ვანუყრელად ატარებენ მიხაკს. რატომაც არა? განა ისინი არ ემსახურებიან მიხაკისფერი ქირის—ახალი ფაშიზმის განვითარების საქმეს?

როცა მოფაშისტო დიპლომატებს სჭირდებათ ინტელიგენციის წარმომადგენელთა ბავით მეტყველება, განა ტეილორ-ხაკსლებს არ უჩინენ საქმეს?

ასეთი საქმე გამოუჩინეს მათ ჩერჩილელ-„ტვინტრესტელებს“ დიპლომატებმა, როცა ინგლისში მიიღეს მიწვევა—გროცლავის კონგრესს დაესწარიო.


გროცლავი პოლონეთის პატარა ქალაქია. იგი პიტლერის ურდოებმა თითქმის მიწასთან გაასწორეს. თვით პიტლერის მიწასთან გასწორების შემდეგ კი ეს პატარა ქალაქი ფერფლისაგან დგება და ხელახლად იბადება. უფრო მხატვრულად რომ ვსთქვათ, გროცლავი დღეს სიმბოლოა იმისა, თუ როგორ ანადგურებს მშვიდობიან მშენებლობას ფაშიზმი და იმპერიალიზმი და როგორ აშენებს მას მშვიდობიანობა.

ჰოდა, აი, საბჭოთა ინტელიგენციის მოწინავე ადამიანების თაოსნობით გროცლავში მოწვეულ იქნა კულტურის მოღვაწეთა მსოფლიო კონგრესი—მშვიდობიანობის დასაცავად.

მათ რიცხვში ხაკსლი და ტეილორი და აგრეთვე ამერიკის სამხედრო ატაშეებისაგან შერჩეული „მეცნიერნიც“ ერიენ. ივლისხმეთ, რომ ჩვენ განზრახვა არა გვაქვს მათაც მივაკუთვნოთ წინა აზნაცში დასახელებულ კულტურის მესვეურთა ტიტული. განა მადლიან ყანაში არ ურიგია სარეველა ბალახები?

დაახ, ისინი ვროცლავში გამოჩნდნენ, როგორც პროგრესული ინტელიგენციის სარეველა ბალახები, რაც მალე თვითონვე დამტკიცეს:

როცა ამხანაგმა ალექსანდრე ფადეევმა ბრწყინვალე მოხსენებაში განსაზღვრა მეცნიერებისა და კულტურის როლი მშვიდობიანობის, პროგრესისა და დემოკრატიის დაცვისათვის ბრძოლაში, როცა მსოფლიოს კულტურის სახელოვანმა მოღვაწეებმა გამოსთქვეს თავისი ნათელი შეხედულებანი, დასახეს მშვიდობიანობის შენარჩუნებისათვის ბრძოლის გზები, მაშინ ეს სარეველა ბალახები „აშრი-აღდნენ“ კონგრესის სხდომის დარბაზში. როცა გამოშუშავდა საერთო მანიფესტის პროექტი, რომელშიც გვზნებარედ გაისმა მთელი მსოფლიოს მოწინავე მოაზროვნეთა მშვიდობიანობის დაცვის ლოზუნგი: „მთელი მსოფლიოს ხალხებს არ სურთ ომი და საქმარისი ძალებიც გააჩნიათ, რომ



ჯონ ბული: მიშვე-ლე-ეთ, ძია მშველის!

დაიცვან მშვიდობა და კულტურა ახალი ფაშიზმის ხელყოფისაგან“-ო, მაშინ ცრუ ჯენტლმენების წკმუტუნი უფრო აშკარად გაისმა. ისინი დარწმუნდნენ, რომ ქვეყნიერებას მართლაც „მშვიდობიანობის დაცვის საფრთხე“ მოეღის და „ამქვერმეტყველდნენ“, როგორც ჰაობიდან ამოტივტივებულნი.

— ჯენტლმენებო, გთხოვთ შეარბილოთ გამოთქმები მშვიდობიანობის დაცვის შესახებ,—განაცხადა პროფესორმა ხაკსლიმ. მაგრამ რაკი დარწმუნდა, რომ მეცნიერებისა და კულტურის ქეშმარიტი წარმომადგენლები სრულებითაც არ აპირებდნენ ნათელი ლოზუნგების შერბილებას ჩერჩილ-ინტელიგენს სერვის-მარშალ-ტრუენის საამებლად, იგი შეუმჩნევლად გაიპარა კონგრესიდან.

მაგრამ ვაპარულის ოქსფორდელი კოლეგა ტეილორი აცოცდა ტრიბუნაზე და დისკანტით განაცხადა:

— ჯენტლმენებო, მე ესთეტიკური თვალთახედვით ვუყურებ ისტორიას. გთხოვთ ენდოთ თუნდაც ჩემს მიხაკს. მე ვამტკიცებ, რომ იმპერიალიზმი—ეს არარსებული მცნებაა. მართალია, ობიექტურად ისე გამოდის, რომ ინგლისიც და მისი პატრონი ამერიკაც აწვი-

თარებენ იმპერიალიზმს, ნიადაგს უნოყიერებენ ახალ ფაშიზმსაც, მაგრამ ჩვენ ესთეტიკა უნდა გვიტაცებდეს და არა აქ გამოხატული პროგრესული იდეებიო.

კული თამაში გამოუვიდა ჩერჩილის დესპანს. ვერც დიდმა ყარამფილმა, ვერც მისმა პრიალა ფრაკმა, ვერც ინტელიგენს სერვისიდან მიღებულმა დოლარ-სტერლინგით ნაკარნახევმა „მქვერმეტყველებამ“ ვერ დაარწმუნა კონგრესი მის „ესთეტიკაში“. ტეილორიც გაიპარა. ერთი სიტყვით, ჯენტლმენები გაექცნენ მშვიდობიანობას; ფაშიზმის ჰაობისაკენ გაიპარნენ.

მაგრამ ვროცლავში ითქვა ხალხთა ნამდვილი სიტყვა, ქეშმარიტი, გვზნებარე, ნათელი სიტყვა:

— ჩვენ ხმას ვიმაღლებთ მშვიდობიანობისათვის, ხალხთა თავისუფალი კულტურული განვითარებისათვის, მათი ნაციონალური დამოუკიდებლობისა და მკიდრო თანამეგობრობისათვის.

ეს ხმა ვაპარულ მიხაკოსან ჯენტლმენებს მებხვიოთ მოეწევა გზაში.

ფარსაქანი

პროფესორი მოღვაწეობს  
კათედრაზე — ბარე ორგან  
მაგრამ ყველგან გუნდრუქს უკმევს,  
ვეისმანს და მენდელ მორგანს.

ბიოლოგის პოზითა დგას  
და ლექციას როცა ხანხლავს,  
ამტკიცებს, რომ „სელექცია —  
სულ ზედმეტი მცნება გახლავთ:

\* \* \*

ერთხელ, ასეთ ღალადის დროს,  
მას სტუდენტი შეეკითხა:  
— პროფესორო, ძალიან გთხოვთ  
განგვიმარტოთ ერთი კითხვა:

მაგ თქვენს „მემკვიდრეობაში“  
ქრომოსომულ აზრს რომ იცავთ,  
ვერ ატყობთ, რომ რეაქციულ  
მცნებას იხდით დასაფიცად?

ვერა გრძნობთ, რომ ვეისმანის  
ჯბრს დამყნია თქვენი ტვინი  
და აშკარად გავიწყდებათ  
ლისენკო და მიჩურინი?

თქვენ რომ შრომა მოგვაჩვენეთ —  
რიცხვით ოცდამეორეა,  
ვერ გრძნობთ, რომ იქ მთლად  
გამოგრჩათ.  
მარქსისტული თეორია?

მეცნიერმა გაბუსხულმა,  
გადახედა ალმაცერად  
და იმ სტუდენტს, „ჩამორჩენილ“  
ორიანი დაუწერა.

\* \* \*

დრო გავიდა, პროფესორი  
სესიაზე ზის და ღელავს,  
მის მცდარ „მცნებებს“ ორატორი  
მძაფრ კრიტიკის ცელით ცვლავს.

მორგანისტულ იდეების  
შემომთრეველ ბეც მეცნიერს,  
უკიცხავენ, უწუნებენ  
რეაქციულ ფუძე-იერს.

ის კი ღელავს, ქირის ოფლი,  
შუბლზე მოხჩქეფს გორილით,  
საწყალ სტუდენტს რას ერჩოდა,  
თვით ეკუთვნის ორიანი.



— ამ სიმაღლე გაგზარდეთ და მაინც იძახიან სანდრას ყანა  
დაბალ დონეზე დგასო, შევირცხვით ულვაში!

## იქითა მხარეს

ორი კვლევი

ახალშობილი ჯარისკაცები

როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო იტყობინება, 8 აგვისტოს  
ჩიკაგოში შიმშილით გარდაიცვალა 66 წლის ჰასაკში მყოფი ცნო-  
ბილი მომღერალი ქალი მეი დე სუზა. დე სუზას, რომელიც უკან-  
ნასკნელ ხანს გაჭირვების გამო დამლაგებლად მუშაობდა, ოდეს-  
ღაც თავისი ხმით განცვიფრებაში მოჰყავდა ევროპელი და ამერი-  
კელი მაცურებელი.

ამერიკელებს უყვართ ისტორიული ძეგლების შენახვა. რა შე-  
სანიშნავი იქნებოდა, რომ შიმშილისაგან მიხრწნილ დე სუზას  
ქანდაკება გაეკეთებინათ და თავისუფლების ძეგლის გვერდით  
დაედგათ!

### „უზბარი“ ხარხი

ავარიების რიცხვის ზრდით შეშფოთებულმა, ტოკიოს რკინი-  
გზების სამმართველომ, საოცარ ხერხს მიმართა: იმისათვის, რომ  
მუშაობის დროს არ დაეძინოთ და კატასტროფები თავიდან აიცი-  
ლონ, რკინიგზელ მემანქანეებს უბრძანა ღეჭონ ამერიკული რეზინი.

როგორ არ რცხვენიათ იაპონელ რკინიგზელებს: რაღაც, კაპეი-  
კიანი რეზინის ღეჭვა ეზარებათ და ამის გამო კატასტროფის  
მსხვერპლად ხდიან ამერიკელებისთვის განკუთვნილ სურსათ-სანო-  
ვარს და ათასგვარ სიმდიდრეს!

აშშ კონგრესმა შეიტანეს კანონპროექტი, რომლის მიზანია  
სავალდებულო გახადოს ყველა ახალდაბადებული ბავშვისთვის  
განსაკუთრებული სერიული ნომრის შემოღება.

დღითი-დღე წინ მიდის ამერიკელ იმპერიალისტთა ტექნიკა!  
ამ ნომრების შემოღების შემდეგ რაღა აკლდებათ ჯარისკაცობას  
ამერიკელ ჩვილებს, ბარემ მინიატურული ატომ-შაშხანებიც ჩამოჭ-  
კიდონ მხრებზე და ურიცხვი არმია მზად ეყოლებათ!

### მათი ანგარიში

იაპონიის ქალაქ ხოკაიდის მცხოვრები ვინმე ფუკუი მსურვე-  
ლებს გასაყიდად სთავაზობს ოხოტის ზღვაში მდებარე კუნძულ  
ტოდოს. კუნძული, რომელიც ხუთასი ათას იენად არის შეფასებუ-  
ლი, იმით არის ღირსშესანიშნავი, რომ „მზიან დღეში კუნძულის  
ყოველ წერტილიდან მოსჩანს საბჭოთა ტერიტორია“...

ხედავთ რამდენი ეშმაკობა ჰქონიათ იაპონელ ფუკუიებს?! საბ-  
ჭოთა ტერიტორიისკენ ურება რომ მათთვის ხელსაყრელი ყოფილი-  
ყო, ასეთ ძვირფას კუნძულს გასაყიდად როგორ გაიმეტებდნენ!

გაბა



მარტინი ჩაუღვივო ახარიაკი\*)



კაბუჯი ამერიკელი ახლა სხვამ შესცვალა, ისიც, თავის მხრივ, სხვამ შესცვალა... დაღამდა. კამათი კვლავ გაცხოველებით გრძელდებოდა. მარტინმა ვერა-ფერი გაიგო, გარდა იმისა, რომ მთელი აქ თავმოყრილი ასოციაციის წევრები უდიდესი პატივისცემითა და მოწიწებით ახსენებდნენ ერთ გამოჩენილ ირლანდიელ მოღვაწეს, რომელიც თურმე ზოგიერთი საკითხების გამო ინგლისის მთავრობას ეკამათებოდა. მთელი შეკრებილება ათავყვანებდა ამ ირლანდიელს, არა ირლანდიის დიდი სიყვარულით, არამედ იმიტომ, რომ ინგლისი სძულდათ.

დაბოლოს წამოდგა გენერალი და წაიკითხა მიმართვა დიდი ირლანდიელისადმი:

„სერ! ჩვენი ასოციაციის სახელით მოგმართავთ თქვენ. ეს ასოციაცია შეიქმნა დიდ ამერიკაში, იგი გაცხოველებული ინტერესითა და სიყვარულით ადგენებს თვალს თქვენს კეთილშობილ ბრძოლას თავისუფლებისათვის“ („თავისუფლების“ ხსენებაზე ასოციაციის წევრები სტვენასა და ყვირილს მორთავდნენ ხოლმე).

„თავისუფლების სახელით, წმინდა თავისუფლების სახელით მოგმართავთ, სერ. თავისუფლების სახელით ზიზილითა და წყევლა-კრულით შემირისხავს ბოროტი ფაფარაშლილი მხეცი, რომლის სიმკაცრე და სისწლისმსმელობა აძრწუნებს მთელ მსოფლიოს. მე ბრიტანეთის ლომზე მოგახსენებთ, სერ.“

ო, სერ, ჩვენს აყვავებულ და ბედნიერ სამშობლოში თავისუფლების უკვამლო ცეცხლია გაჩაღებული; როცა თქვენს ქვეყანაშიაც გაჩაღდება ასეთი ცეცხლი, მაშინ ლომი დაიხრუკება.

თავისუფლების სახელით თქვენი ერთგული და თავდადებული მეგობარი, შეერთებული შტატების გენერალი

საირეს ჩოკი“.

ვიდრე გენერალი მიმართვის კითხვას დაამთავრებდა, სადგურს მოადგა მატარებელი, რომელმაც ახალი ფოსტა ჩამოიტანა. კრების მდივანს სასწრაფოდ პაკეტი შემოუტანეს. მან გახსნა პაკეტი და წაიკითხა. ეს მოხდა სწორედ მაშინ, როდესაც დარბაზი ხანხარებდა თავისუფლებისა და დიდი ირლანდიელის პატივისცემით შეძახილებითა და სტვენით. პაკეტმა ცუდად იმოქმედა მდივანზე. დაჯდა თუ არა გენერალი თავის სკამზე, მდივანი მაშინვე მივარდა და პაკეტი გადასცა. გენერალმა გადაიკითხა წერილი და ინგლისური გაზეთების ამონაჭრები, გაუშვდა, გადაფიქრდა, აცახცახდა. შეძახილები თანდათან მიწყდა და მალე სამარისებური სიჩუმე გამეფდა.

— მეგობრებო!—დაიყვირა გენერალმა.—მეგობრებო და თანამოქალაქნო! ჩვენ შევცდით! ჩვენ მოვტყუვდით, ის კაცი გაიძვერა აღმოჩნდა!

— ვინ კაცი?—წამოიბღვლა დარბაზმა.

— ეს კაცი!—კბილებში გამოსცრა სიბრაზისაგან აცახცახებულმა გენერალმა და პაკეტი ასწია.—იგი თურმე ხანგების გათავისუფლების მომხრეა.

ახლა რომ ის კაცი ხელში ჩაეარდნოდათ თავისუფლების ქვეყნის შვილებს—გასრესდნენ, დაახრბოდნენ, ნაკუწ-ნაკუწად აქცევდნენ. გენერალმა წერილი დახია და პაერში გაფანტა. ასოციაციის წევრები ფეხით თელავდნენ ქალაქის ნაგლეჯებს, ყვიროდნენ, ღმუთოდნენ, ფეხებს აბაკუნებდნენ. მერე მოიქანცნენ და ყველაფერი მიწყნარდა.

დადგა ნანატრი საათი, როდესაც მარტინი ედემისაკენ უნდა გამგზავრებულიყო. გამგზავრების წინ დაიწყო გაუთავებელი დენა გაზეთების რეპორტიორებისა, რომლებიც ნახულობდნენ ედემისკენ მიმავალ მარტინს. საბოლოოდ მოვიდა კორპორაციის გაზეთის ორი რეპორტიორი. მათ ჯერ შრომიან დაუწყეს ჭერტა მარტინს, მერე შრომა გაინაწილეს: ერთმა დაიწყო მარტინის დათვალეობა წელზევით, მეორემ კი წელქვეით. ორივე რეპორტიორი ცხვირწინ ედგა მარტინს და უბრალო მოძრაობასაც კი შეუმჩნეველს არ ტოვებდა—ყველაფერს იწერდნენ; საგაზეთო სტატისა ამაზდებდნენ. თუ მარტინი ფეხს გასწევდა წინ, „წელქვეითა“ ჯენტლმენი მაშინვე დაიხრებოდა და მერე რალაცას ჩაიწერდა, თუ ცხვირზე მოისვამდა მარტინი ხელს, „წელზევითა“ რეპორტიორი მაშინვე აღნიშნავდა

ამ მოძრაობას თავის წიგნაკში. როცა სიტყვის სათქმელად პირს დააღებდა, იგივე ჯენტლმენი მივარდებოდა სულ ახლოს და კბილის ექიმისვით დაიწყებდა პირის ღრუს გასინჯვას, ხანდახან ხელითაც მოსინჯავდნენ მარტინის ტანსაცმელს—და სწრაფად ჩაინიშნავდნენ. ირგვლივ კი ოთახი გაჭედელი იყო ხალხით.

გავიდა რამდენიმე დღე. მარტინს თითქმის სულ შემოეცალა თანამგზავრები. გემი კვლავ განაგრძობდა გზას ფართო მდინარეში. ქალაქებმა თანდათან იკლო. ახლა გემიდან მოსჩანდა გაღატაკებული სოფლები, ჩამონგრეული ქოხნახები, ედემის შეღამებისა მიაღწენ.

ბინდუნდში მოსჩანდა დაუსრულებელი ქაობი და ტალახი. აქა-იქ რამდენიმე ქოხი იდგა. უკეთესი მათგანი შეიძლებოდა თავლად ან ბოსლად მიეჩნია კაცს. ბაზარზე, სასტუმროზე და აბანოებზე ლაპარაკი ხომ სასაცილო იყო!

— გულს ნუ გაიტვებთ, სერ,—გამხნევა მარტინი მარკმა,—აი, ედემის მკვიდრი მოდის, იგი გვიშველის ჩემოდნების გადატანას. აქ მოდი, მეგობარო.

ჯოხს დაყრდნობილი „ედემის მკვიდრი“ ტატიოთ მოდიოდა. როცა ახლოს მოვიდა, მაშინ შენიშნეს, გაცრეცილი და ჩამომხმარი სახე ჰქონდა, მხრებზე ძონძები ეკიდა, თმაგაბურძნილი და ფეხშიშველი იყო.

— უცხოელები ხართ?—გაკვირვებით იკითხა მან.

— კარგად მიხვდით.—მიუგო მარკმა,—როგორა ხართ, სერ?

— ციებამ მომსპო,—მისუსტებული ხმით უპასუხა ედემელმა,—ფეხზე ძლივს ვდგავარ. თქვენი ჩემოდნები?

— ჩვენია, სერ.—თქვა მარკმა.—იქნებ გვიტხრათ ვის შეუძლია წაიღოს ეს ქ...ქალაქში?

— ჩემი უფროსი ბიჭი წაიღებდა, მაგრამ ციებამ ჩააგდო. უმცროსი წარსულ კვირას დაგვარხე...

— აქაც რომ დაეტოვოთ ჩემოდნები ამაღამ, არა უშავს, მაინც არავინ გამოჩნდება ამის წამლები.—დაასვენა მარკმა.

— ასეცაა.—ყვერი დაუკრა ედემელმა.—მაგის შემძლე კაცს აქ ვერ ნახავთ. მეორეც, ღამით არავინ გამოდის გარეთ.

— ალბათ, ჯანმრთელობას ვნებს ღამის ჰაერი.—დაინტერესდა მარკი.

— საწამლაგია, სერ!

მარკი ოდნავაც არ აღეღებოდა. ჰკითხა ჩვენი ნაყიდი სახლი სად იქნებაო. ედემელმა წყნარად უპასუხა, ახლოა, მაგრამ შიგ სიმინდი მიყრია, იქნებ ხვალ გაგათავისუფლო. მერე წყნარადვე, ვითომ აქ არაფერი იყო, დაუმატა.—დიდხანი არაა, რაც ამ სახლის ძველი პატრონი ჩემი ხელებით დაემარხეო. მარკი არც ახლა აღეღებოდა.

აპარგებულნი

ნახ. ა. კანდელაკისა



— ხადმე უნდა გადავსახლდეთ, თორემ მახლობელ კოლმეურნეობის ბავშვებმა ყანებში ერთი თავთავიც არ დაგვიტოვებს!

ქოხში მართლაც ეყარა ცოტარდნი სიმინდი. მიწის იატაკზე წყალი იდგა. კარებო-ქანოსთველთა და ახლაც ქარი თარეშობდა შიგ. მარკი ცდილობდა გაემხნეებინა თავისი ბატონი. თან წაიყოლია ნავსადგურში იქ დატოვებული ჩემოდნების წამოსაღებად. თან ცდილობდა ელაპარაკა და მარტინიც აელაპარაკებინა.

დიდი წვალვებით გაამაგრეს კარები, სიმინდი კუთხეში მიჰყარეს, ლოგინი გაშალეს, თავქვეშ ჩემოდანი ამოიდეს და გაიტვირთნენ. ძილი არც ერთს არ ეკარებოდა, მაგრამ ამას არ უშეხლდნენ ერთმანეთს. ხელში ნაჯახი ჰქონდათ მომარჯვებული.

დილით მარკი ადრე ადგა და ვიდრე მარტინი გაიღვიძებდა, სახლი მიილაგა. გარეთ აბრა გამოაკრა: „ჩემლუტი და კ“. არქიტექტორები და მიწისმომღებლები“.

ამასობაში მარტინსაც გაეღვიძა, გადაფიქრებულყო და სისუსტეს უჩიოდა. იგი იმ დღიდანვე ჩაეარდა ლოგინად. მარკი ცდილობდა მარტინისათვის მხიარულად ეჩვენებინა თავი. ერთ დღეს მოახსენა, ედემში ორი ამერიკელი ცხოვრობს და იქნებ აქაც გვესტუმრონო. სიტყვა არც კი დაემთავრებინა, რომ კარებში ახმახი კაცი გამოჩნდა—ეს იყო ედემის ამერიკელი მცხოვრები—მაიორი ჰანიბალ ჩოლოპი. გაყვითლებული, უსიამო სახისა. იგი თამბაქოს ღეჭავდა და წარამარა იფურთხებოდა.

— არ შემოუშვა,—იყვირა მარტინმა, მაგრამ უკვე გვიან იყო. ამერიკელი დაუკითხავად ჩამოჯდა სკივრზე და მარტინს მიმართა:

— ჰა, როგორ მოგწონს ჩემი ქვეყანა?

— სულაც არ მომწონს.— მიკნავეებული ხმით უპასუხა ავადმყოფმა.

ჩოლოპმა დაღეჭილი თამბაქო გამოყარა პირიდან. გადაფურთხა და წყნარად წარმოსთქვა:

— როდი მივიკრის, რომ ამას ამბობ. საჭიროა გონების გაწვრთნა და ინტელექტის შემზადება. თუ შემზადებული არ გაქვს გონება, ისე რას გაიგებ თავისუფლების სიტკბობას. დიახ, ევროპული წარმოდგენა გაქვთ ყველაფერზე.

მაიორი ჩოლოპი თავისი ქვეყნის ერთ-ერთი მოწინავე ადამიანი იყო. მუგორები მასზე ამბობდნენ: „ის არის ჩვენი თავისუფალი სამშობლოს ყველაზე მოწინავე ადამიანი“. პატივსაც სცემდნენ მას, როგორც თავისუფლებისათვის თავდადებულს. რომ უფრო ადვილად დაემკვიდრებია ქვეყნად ეს „თავისუფლება“, ჯიბეში მას ედო ორი დიდი რევოლვერი, ყოველ შემთხვევისათვის დანაც თან ჰქონდა.

— აქ ვინ გამოგზავნათ?—იკითხა მაიორ ჩოლოპმა მცირე სიჩუმის შემდეგ.

— მისტერ სკედერმა.

— ო, სკედერი მოქნილი კაცია, სერ! იგი პროგრესული პიროვნებაა! სულ ზევით და ზევით მიძვრება,—მაიორმა თვალი ჩაუკრა მარკს და კვლავ გადაფურთხა. სკიდერის ირგვლივ უკვე შემოიხაზა ნაფურთხების წრე.

— ახლა მივიდვარ,—თქვა მან და კარებისკენ გაემართა. მარკმა სთხოვა, თქვენ გენაცვალებთ, თავს გაუფრთხილდითო.

— მწარე ენა გაქვთ,—მრისხანედ გადმოსხდა მაიორმა და ხელში რევოლვერი შეათამაშა.—თქვენ დესპოტურ ქვეყანაში კი ნუ გგონიათ თავი. აქ ამერიკაა. ჩვენგან უნდა გადაიღოს მაგალითი მთელმა მსოფლიომ, ჩვენ ხუმრობა როდი გვიყვარს.

— მე ხომ არაფერი მითქვამს ისეთი?

— არ მითქვამსო? მაგაზე მკიერ დანაშაულისთვის იცი, რამდენი გამზდარა ლინჩის მსხვერპლი! ჩვენ მსოფლიოს ტინი და საფრთხე ვართ, კაცობრობის ნაღები ვართ, მორალური სიწმინდისა და ძლიერების გვირგვინი ვართ. ჩვენთან ხუმრობას ერიდეთ.

მარტინმა საჩქაროდ დასწერა წერილი და მისტერ ბიენს გაუგზავნა. სთხოვდა გზის ფულს, რომ ედემს გასცლოდა...

დიდი ხნის შემდეგ, როგორც იქნა, მიიღო ფული. ...განთიადისას მარტინი და მარკი გემის ბაქანზე იდგნენ და ცხვირსახოცს უქნევდნენ ქაოაში ჩაფლული ედემის ჩამონგრეულ ქოხებს.

თარგმ. ინგლისურიდან ვ. ზელიძის

\*) იხ. „ნაინგო“ №№ 12-13-14-15.



— ერთი მხრივ კარგია, ჩემო მკა, რომ კიბე ასეთ მდგომარეობაშია. წელაწადიც რომ გავიდეს, ჩვენი სახლმშობრთველი ქირის სათხოვნელად ამოსვლას ვერ გაბედავს!



— რამ დაგაღოხა, ხომ არ ლანძღავს რეცენზენტი შენს პიესას?

— კი არ ლანძღავს, აქებს. მაგრამ სუფეტი თავიდან ბოლომდე მოიყვანა გაზეთში და მაყურებლები წარმოადგენას აღარ ეკარებოან, შინაარსი რომ იციან, აღარ აინტერესებთო..

### კომუნალური „წვრიღმანები“

#### 1. ჩვენი გაბო მუშაობა

ამ ჩვენს გაბო მეეზოვეს იხსენიებს ყველა ავად, — ეზოებს და ქუჩებს რომ ჰგვის მოუსხურავ-მოურწყავად. კორიანტელი დგას მტვრისა, როგორც ნისლი შავი ზღვისა, შებრალება არ აქვს იმას, არც თავისი და არც სხვისა. საყვედური ჰკადრეს გაბოს, აღრიალდა, ასე ამბობს: — მეთულუხე ხომ არა ვარ, ბაღჩები მაქვს მოსარწყავი? წყალი ვზიდო, ქუჩები ვრწყა? ხომ გადამძვრა ხელზე ტყავი? მცხოვრებლებო! ვისაც ჯერარს მიმართეთ და ესა სთხოვეთ: გაბო რწყვას თუ უკადრისობს, — სხვა დანიშნონ მეეზოვედ!

#### 2. ამიაკი

ერთი კვირა... ორი... სამი... ნაგავი რომ არ გაზიდეს, არ იძვროდა ხმა კანტორის მყუდრო ციხე-დარბაზიდან, დადგა სუნი ამიაკის, სიბინძურის გაჩნდა შმორი, და მრისხანე სამდურავმა დაიქუხა მცხოვრებთ შორის. სდუმს კანტორა. არ სცალია არც შოფერს და არც მანქანას, მან მგზავრები კოჯრისაკენ სისხამ დილით გააქანა.

ზორბა

### ბარისახოს მიმავალი

ხვესურეთში მივალ მგზავრი, გულს ლოდინის ფიქრი ალაგს, როგორც იქნა შორი-ახლოს მანქანამაც იგრიალა.

— ვის გინდათო, — მყის შოფერმა გადმოგვძახა კაბინიდან. გავიფიქრე: „მალე წავალთ“, გულმაც დარდი გადირიდა.

მიმოავლო თვალი, ნახა მან მანქანა გაჭედილი, გვითხრა უნდა გაგაქანოთ, ბარისახოს გაგზნდე დილით.

შოფერი კი სივიწროვეს აბა რალას დაგიდევდა, ზოგი ამბობს: — „გავიჭყლიტე“, ზოგი მოსთქვამს: — „გვი დედა“-ს.

რბენით ტოვებს ჩვენი ავტო გზათა მთებზე მოვრეხილითა, და გამოჩნდა უცებ ხიდი წოდებული „მოკლე ხიდად“.

შოფერი ძირს ჩამოფრინდა: — შეხეთ, ხიდი მთლად ქანაობს,

ძირს ჩამოდით და როგორმე გავიყვანოთ მანქანაო.

ახმაურდა ხალხი უმალ, ზოგმა ცრემლი ჩამოლვარა: — რას გვიშვრება, ბურთებივით აგვყარა და ჩამოგვყარა.

ჩატეხილთა ხილთა ხილვა ბედმა აღარ აგვარიდა, მერე როგორ, ყოველ ხილთან ძირს ჩამოსვლა მანქანიდან.

სხვა ხიდებზე აღარ ვიტყვი, ესეც კმარა მაგალითად. თუმც შოფერი გვიბრდებოდა: — სხვალ ავალთო ბარისახოს, ერთი კვირა გზას მოუნდით, დაპირებაც არვის ახსოვს.

თუ ვინმეს გსურთ აქ მგზავრობა თავის მიზნად დარისახოს, მერწმუნეთ, რომ დაბერდებით ვიდრე ახვალთ ბარისახოს.

ირაკლი არაბული



— მე და ტყე მხოლოდ ახლა გავაფორმეთ ჩვენი მეგობრობა, თორემ ამ საქმეში საკმაო სტაჟი გვაქვს. წლები განმავლობაში, ჩვენს პარტიზანულ რაზმს ეს იფარავდა!

სარიდასციო კოლეგია: ი. გრიშაშვილი, კაკლო კალაძე, შჩა ჯაფარიძე, ს. ფაშალიშვილი, გრ. აბაშიძე (პ/მგ. რედაქტორი),

თბილისი. სატირიკო-იუმორისტისკი ჟურნალი „ნიანგი“. რედაქციის მისამართი: ლენინის ქ. № 28. ტელ: 8-10-49

ხელმოწ. დასაბ. 1948 წ. 17/IX. ტექსტი აწყობილია ლ. პ. ბერიას საბ. პოლიგრაფკომბინატ „კომუნისტის“ სტამბაში, შეკ. № 1319 ლენინის, ქ. № 28. დაბეჭდილია სტამბა „ზარია ფოსტოკას“ ოფსეტმანქანაზე. შეკ. № 1579. თბილისი, რუსთაველის გამზ. № 42. გამოც. № 79 ტირ. 7600 ჟუ 13660